ოქმი:**ო08. 3724206001**

თარიღი:**24/07/2024**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 23 ივლისი
ქ.ოზურგეთი
13.00 -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, ნ. მახარაძე, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, თ. ტუღუში, დ. დარჩია, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი.
სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: მარიამ ჭანტურია

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს დღის წესრიგის საკითხზე მიაწოდა ინფორმაცია, რომ იგი იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, კანონმდებლობით განსაზღვრულ დროში შემოვიდა შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა, პროექტის ავტორმა, შეტანა ცვლილებები და წარმოადგინა კორექტირებული ვარიანტი. შეტანილ ცვლილებებზე კონკრეტულად ისაუბრა თანამომხსენებელმა მ. ჭანტურიამ. კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ კიდევ ერთხელ მოითხოვა შეტანლ ცვლილებებზე განმარტება. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი